სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 17 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***კაპიტანი და კამპანელა იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №24920/07)***

აპლიკანტები ელენა კაპიტანი, ატილიო კამპანელა, ამალია კამპანელა და კატიუშა კამპანელა, ოთხივე არიან იტალიის მოქალაქეები, დაიბადნენ 1951, 1946, 1978 და 1976 წლებში და ცხოვრობენ კასტელალტოში (იტალია). აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ სასამართლო განხილვები, რომლებიც ეხებოდა მათ წინააღმდეგ აღმკვეთ ზომებს (საკუთრების კონფისკაცია), მიმდინარეობდა მათ მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვებთან ერთად კრიმინალური გაერთიანების წევრობის გამო. აპლიკანტები ჩივიან, რომ ეს განცილვები არ მიმდინარეობდა საჯაროდ, ღიად. მათი მტკიცებით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

სასამართლომ დადგენილად სცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.

- ***განეა მოლდოვას წინააღმდეგ – (განაცხადი №2474/06)***

აპლიკანტი მიჰაი განეა მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1948 წელს და ცხოვრობს სოროკაში (მოლდოვა). განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და V ნაწილები (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება). კერძოდ, ის ჩივის, რომ ოთხი დღის განმავლობაში დაპატიმრებული იყო ყოვლად უსაფუძვლოდ (პოლიციის გაყალბებული მოხსენების საფუძველზე) და რომ შედეგად ადგილობრივმა სასამართლოებმა მიაკუთვნეს შეუსაბამო და არასაკმარისი კომპენსაცია ამისათვის.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I და V ნაწილების დარღვევა და სახელმწიფოს აპლიკანტის სასარგებლოდ დააკისრა 6 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის გამო.

- ***Megadat.com SRL მოლდოვას წინააღმდეგ – (განაცხადი №21151/04)***

აპლიკანტი კომპანია – ***Megadat.com SRL*** – გაერთიანდა მოლდოვაში და ამჟამად არის უდიდესი ინტერნეტ პროვაიდერი ამ სახელმწიფოში. სტრასბურგის სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის პალატის განჩინებით დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა) აპლიკანტი კომპანიისათვის 2003 წლის ოქტომბერში ტელეკომუნიკაციის ლიცენზიის შეჩერების გამო, იმ მიზეზით, რომ კომპანიას არ ჰქონდა მითითებული თავისი ახალი მისამართი. შედეგად, 2004 წლის ივლისში კომპანიას ჩამოერთვა ლიცენზია და იძულებული გახდა დახურულიყო. დღევანდელ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ცნობის სახით მიიღო მოპასუხე სახელმწიფოს განცხადება და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფის პირობები და გადაწყვიტა, რომ განაცხადი ამოიღოს განსახილველი საქმეების სიიდან.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- *ფარინა იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №75259/01)*
- *ფიორელო იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №67794/01)*
- *სანტინელი და სხვები იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №65141/01)*

ეს საქმეები ეხება აპლიკანტების განაცხადებს, სადაც მითითებულია მათი საკუთრების მიმართ განხორციელებულ არაპირდაპირ ექსპროპრიაციაზე, რაზედაც არანაირი კომპენსაცია არ გადაუხადა სახელმწიფომ. ყველა განაცხადში მითითებულია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევაზე. საქმეში ***ფარინა იტალიის წინააღმდეგ,*** განმცხადებელი ასევე მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევაზეც.

სასამართლომ დაადგინა, რომ სამივე საქმეზე დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

- *ვენტორინო იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №357/07)*
- *მოკანუ მოლდოვას წინააღმდეგ – (განაცხადი №12708/05)*

აღნიშნულ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება გადაიდო, ან საერთოდ არ ხდება აღსრულება. აპლიკანტები მიუთითებენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

<u>გაჭიანურებული საქმეები</u>

- *ჰორვათი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №45407/05)*

2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი სამოქალაქო საქმის გაჭიანურებული განხილვის გამო. მთავრობამ თხოვნით მიმართა სასამართლოს ამ განჩინების გადასინჯვის თაობაზე. დღევანდელ გადაწყვეტილებაში, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად სცნო კომპანია ***Homola és Csang Kft***–ის სასარგებლოდ და სახელმწიფოს დააკისრა გიორგინე კარპატის მემკვიდრეებისათვის 6 000 ევროს გადახდა ერთობლივად.